

# ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია



## გეოლოგიური ანგარიში

### ლოტი v

დამკვეთი: Institut IGH d.d.  
აბაშიძის ქ. # 10 თბილისი, საქართველო

შემსრულებელი: შპს „გროს ენერჯი ჯგუფი“  
ლვოვის ქ. #66 თბილისი, საქართველო



გროს ენერჯი ჯგუფი  
საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანია  
GROSS ENERGY GROUP  
ENGINEERING-CONSULTING COMPANY

თბილისი  
2018 წელი



## რედაქტირებული გამოცემა

გამოცემა	თარიღი	ავტორი	კორექტირება	დამოწმება	აღწერა
A	ივნისი 2018 წ.	ზურაბ ტვილდიანი	შპს „გროს ენერჯი ჯგუფი“	ანგული ტყეშუაშვილი	პირველი გამოცემა





ბროს ენერჯი ჯგუფი  
საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანია  
GROSS ENERGY GROUP  
ENGINEERING-CONSULTING COMPANY

## LLC Gross Energy Group

66 Lvovi Street,

GE0160, Tbilisi, Georgia

Tel/Fax: +995 322 399 160

[www.gegroup.org](http://www.gegroup.org)

### შენიშვნა:

მოცემული დოკუმენტი მომზადდა საკონსულტაციო ფირმა შპს „ბროს ენერჯი ჯგუფი“-ს მიერ და უნდა იყოს გამოყენებული, როგორც შეთავაზება საპროექტო სამუშაოების შესახებ. წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებულ სპეციფიური მიზნებისთვის.

უფლებამოსილი მხარისა და ზემოთ აღნიშნული მიზნების გარდა, მისი გამოყენების უფლება არ აქვს სხვა მხარეს. იმ შემთხვევაში თუ ეს დოკუმენტი ამ და სხვა მიზნისათვის მაინც გამოყენებული იქნება სხვა მხარის მიერ კომპანია არ აგებს პასუხს მასში გამორჩენილი საკითხებისა და აღმოჩენილი შეცდომების გამო.

ეს დოკუმენტი შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას და ინტელექტუალურ საკუთრებას. მისი გადაცემა სხვა მხარისათვის დასაშვებია მხოლოდ შემსრულებელი და დამკვეთი კომპანიების თანხმობით.

ყდის სურათი: დიდი სურათი : ჭრუჭულა-გუდალის საგზაო მონაკვეთი, წყარო: შპს „ბროს ენერჯი ჯგუფი“

## სარჩევი:

1. შესავალი .....	8
2. კლიმატური პირობები .....	9
3. საკვლევი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები .....	12
3.1 ადმინისტრაციული რუკა .....	13
3.2 ბუნებრივი პირობების ზოგადი დახასიათება .....	13
3.3 გეოლოგიური რუკა. ....	14
4. გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სეისმურურობა....	15
4.1 ჭაბურღილების განთავსების ადგილმდებარეობა: .....	18
4.2 ჭაბურღილების განთავსების კოორდინატთა ცხრილი.....	19
5. საკვლევი ობიექტის მოკლე გეოლოგიურ-ტექტონიკური აღწერა .....	20
5.1.1 ზედა ცარცი.....	20
5.1.2 საინჟინრო - გეოლოგიური პირობები.....	21
5.1.3 კარბონატული ფორმაცია.....	21
5.1.4 ტერიგენული ფორმაცია.....	22
5.1.5 მეოთხეული ასაკის ნალექების საინჟინრო-გეოლოგიური კომპლექსები...	22
6. საინჟინრო-გეოლოგია .....	24
6.1 საინჟინრო გეოლოგიური რუკა.....	26
6.2 რაიონში განვითარებული საშიში გეოლოგიური პროცესები .....	27
6.3 რაიონში განვითარებული საშიში გეოლოგიური პროცესების ამსახველი რუკა	30
7. საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა .....	31
8. გამოყენებული ლიტერატურა .....	70
9. დანართი N1 - ქანების ფიზიკურ მექანიკური თვისებები.....	72



10.	დანართი N 2 - ქანების გრანულომეტრიული შემადგენლობა .....	73
11.	მუშა პროცესის აღმწერელი ფოტო მასალა .....	74
12.	ამოღებული ნიმუშების აღმწერელი ფოტო მასალა .....	80



ტექნიკური დავალება



გროს ენერჯი ჯგუფი  
საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანია  
GROSS ENERGY GROUP  
ENGINEERING-CONSULTING COMPANY

დამკვეთი: Institut IGH d.d.

ობიექტის დასახელება: შიდასახელმწიფოებრივი ზემო იმერეთ-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია პროექტის გეოლოგია

მშენებლობის ტიპი: საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია

ობიექტის მისამართი: საქართველო, იმერეთი, საჩხერე

ობიექტის დაპროექტების სტადია: პროექტი

საველე სამუშაოების აღწერა: 42 შურფის და ჭაბურღილის გაყვანა, დამკვეთის მიერ მითითებულ კორდინატებით. (იხილეთ ცხრილი N1)

განსაკუთრებული აღნიშვნები : განივ ჭრილებზე გეოლოგიის დატანა და გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების განსაზღვრა.

შენიშვნა: კვლევების დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნას აკინძული ორ ეგზემპლარადმ აგრეთვე ელექტრონული ვერსია.

ხელშეკრულების N: 2018/06/07

დამკვეთი: „Institut IGH d.d.“

რობერტ პეტროსიანი

შემსრულებელი: „გროს ენერჯი ჯგუფი“

ანგული ტყეშუჩავა

ცხრილი N1

N	პკ	სიღრმე (მ)			კოორდინატი		შენიშვნა
		გზა	ხიდი	მილი			
1	0+120	6			368874,062	4702281,268	
2	0+390			10	369130,769	4702261,563	
3	0+580	5			369305,590	4702337,465	
4	0+820			10	369510,410	4702450,243	
5	1+200	6			369311,262	4702747,131	
6	1+370			5	369233,874	4702887,640	
7	1+730			5	368957,019	4703102,052	
8	1+995			6	368769,586	4703256,452	
9	2+280	6			368858,559	4703518,980	
10	2+570			5	369046,545	4703733,742	
11	3+190			5	369566,868	4704037,254	
12	3+550			5	369874,769	4704216,028	
13	4+070			5	369789,207	4704642,404	
14	4+350			5	369859,503	4704787,728	
15	4+550	10			370052,855	4704749,369	
16	4+905			3	369936,631	4704965,528	
17	5+270			3	369652,089	4705186,262	
18	5+420		10		369543,259	4705285,554	ხიდის ბოლო
19	5+440		10		369532,312	4705302,292	ხიდის დასაწყისი
20	5+790			3	369219,636	4705395,663	
21	6+070			3	368952,184	4705474,950	
22	6+450			3	368938,443	4705816,075	
23	6+790			3	368975,472	4706142,914	
24	7+175			3	368970,973	4706532,725	
25	7+490			6	368905,416	4706823,321	
26	7+650			5	368824,163	4706956,225	
27	7+860	5			368784,674	4707158,398	
28	8+030			10	368684,095	4707291,957	
29	8+340	3			368472,845	4707515,986	
30	8+630			6	368380,658	4707785,678	
31	8+760		10		368449,090	4707893,086	ხიდის ბოლო
32	8+790		10		368471,154	4707913,719	ხიდის დასაწყისი
33	8+910			3	368582,921	4707940,139	
34	9+310			3	368939,724	4708075,731	
35	9+570			3	368883,095	4708320,826	
36	9+810			5	368985,346	4708498,845	
37	9+930			5	368928,074	4708564,975	
38	10+170			5	368726,447	4708447,138	
39	10+530			3	368727,329	4708164,875	
40	10+670			3	368603,761	4708203,682	
41	10+920			3	368537,621	4708408,199	
42	11+120	3			368569,480	4708593,881	



## 1. შესავალი

შპს „GEG ” და „IGH“ -სთან 2018 წლის მაის დადებული #ხელშეკრულების თანახმად მიიღო ტექნიკური დავალება ჩატარებინა „ზემო იმერეთი – რაჭის” საავტომობილო გზის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

კვლევა მოიცავდა საინჟინრო-გეოლოგიურ აგებმას, ჭაბურღილების ბურღვას, შურფების გაყვანას, ნიმუშების აღებას და მათ ლაბორატორიულ კვლევას.

კვლევები ჩატარებული აქვთ პირველ ეტაპზე კომპანიებს შპს GEG, შპს GTS.

მეორე ეტაპის საველე სამუშაოები ჩატარა გროს ენერჯი ჯგუფმა. ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შპს “აბსოლუტ სერვისის” და GTS-ის ლაბორატორიებში.

საველე კვლევებისას ჭაბურღილები და შურფები გაყვანილია დამკვეთის მიერ მითითებულ წერტილებში, რაოდენობით და სიღრმით - სახელმძღვანელოდ გამოყენებულია СНиП 1.02.07-87.

ჭაბურღილებიდან და შურფებიდან მათი შემდგომი ლაბორატორიული კვლევისათვის აღებული იქნა დაშლილი და დაუშლელი სტრუქტურის ნიმუშები.

შესრულებული სამუშაოების სახეობები და მოცულობა მოცემულია ცხრილში 1.1.

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის შედგენისას გამოყენებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი სტანდარტები: - პნ 02.01-08; პნ 01.01-09; СНиП 2,02,01-83, ГОСТ 25100-82, Бშ 1377, Part 4).

## 2. კლიმატური პირობები

საკვლევი უბნის კლიმატური პირობების შეფასება ეყრდნობა ონის (№104), საჩხერის (119) და ჭიათურის (№166) მეტეოსადგურების მონაცემებს. მონაცემები მიღებულია სამშენებლო კლიმატოლოგიის სტანდარტით (პნ 01.05-08).

საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით რაიონები მიეკუთვნება: ონი და საჩხერე II-ბ ქვერაიონს, ხოლო ჭიათურა კლიმატურ III-ბ ქვერაიონს. შესაბამისად იანვრის საშუალო ტემპერატურებით ონი-საჩხერე  $-5^{\circ}\text{C}$ -დან  $-2^{\circ}\text{C}$ -მდე, ჭიათურა  $+2^{\circ}\text{C}$ -დან  $+6^{\circ}\text{C}$ -მდე, ივლისის საშუალო ტემპერატურა შესაბამისად  $+21$ -დან  $+25^{\circ}\text{C}$ -მდე ფარგლებში, ხოლო ჭიათურაში  $+22^{\circ}\text{C}$  -  $+28^{\circ}\text{C}$ -ფარგლებში ცვალებადობს.

ჰაერის ტემპერატურული პარამეტრები მოცემულია ცხრილებში.

ჰაერის ტემპერატურა - ცხრილი 2.1

თვეები												წლის საშუალო	ქალაქი
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII		
-1.0	0.3	4.0	9.5	14.5	17.6	20.4	20.5	16.4	11.2	5.8	-0.8	10.0	ონი
0.4	1.4	5.7	11.1	16.6	19.7	22.3	22.6	18.6	13.3	7.2	1.9	11.7	საჩხერე
2.4	3.6	6.9	12.0	17.4	20.5	23.1	23.5	19.8	14.9	9.1	4.4	23.1	ჭიათურა

### ჰაერის ტემპერატურა - ცხრილი 2.2

ქალაქი	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	წყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქს.	წყველაზე ცივი საშუალო	წყველაზე ცივი საშუალო დღიური	წყველაზე ცივი პერიოდის საშუალო	საშუალო ტემპერატურა 13 საათზე	
							წყველაზე ცივი თვის	წყველაზე ცხელი თვის
ონი	-27	38	282	-10	-13	-1.1	32	26.4
საჩხერე	-31	41	29.7	-8	-12	0.2	43	28.2
ჭიათურა	-20	42	30.3	-6	-9	-2.2	4.7	28.6

### ჰაერის ფარდობითი ტენიანობა - ცხრილი 2.3

თვე												წლის საშუალო	ქალაქი
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII		
78	74	70	65	68	70	70	68	72	76	74	77	72	ონი
84	80	76	69	70	70	73	72	74	79	80	82	76	საჩხერე
83	80	76	69	70	70	72	72	74	79	79	82	76	ჭიათურა

- ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წელიწადში შესაბამისად: ონი, საჩხერე, ჭიათურაშეადგენს: – 1048მმ, 904 და 1237;
- ნალექების დღეღამური მაქსიმუმი – 97მმ, 110 და 100;
- თოვლის საფარის წონა – 0.75კპა, 0.5კპა და 0.59კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 71, 38 და 41;

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა  $w_0$

5 წელიწადში ერთხელ: - 0.17კპა, 0.3კპა და 0.3;

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა  $w_0$

15 წელიწადში ერთხელ 0.23კპა, 0.38კპა და 0.48კპა;

1 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 13-19-19 მ/წმ;

5 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 17-22-23 მ/წმ;

10 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 19-24-25 მ/წმ;

15 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 20-25-27 მ/წმ;

20 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 22-26-28 მ/წმ;

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე:

თიხოვანი და თიხნარი – 23-0-0 სმ;

წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი – 28-0-0 სმ;

მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის – 30-0-0 სმ;

მსხვილნატეხოვანის – 34-0-0 სმ.

### 3. საკვლევი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები


საკვლევი ტერიტორიის რელიეფი დაბალი და საშუალომთიანი, ხშირი ეროზიული ქსელით დანაწევრებული და კარსტული პროცესებით გართულებული სტრუქტურული პლატოს რელიეფია. რელიეფის ბუნებრივი ფორმების გარდა ფართო გავრცელებით ხასიათდება ანტროპოგენური, სამთო საქმიანობის შედეგად შექმნილი რელიეფის მეზო და მიკრო ფორმები.

საქართველოს ტერიტორიის გეომორფოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს მთათაშორისი ბარის- საქართველოს ბელტის ფარგლებში არსებულ, ძირულის ჰორსტული მასივის თანხვედრილ სტრუქტურულ პლატოს, რომელიც ცნობილია ზემო იმერეთის პლატო სახელწოდებით. ზემო იმერეთის პლატო ხასიათდება მეზო-კაინოზური ასაკის დანალექი ქანების სუსტად დისლოცირებული, თითქმის დაურღვეველი საფარით, რელიეფის კარსტული ფორმებით და კანიონისებური ხეობებით.

მორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია იყოფა ერთმანეთისგან განსხვავებულ აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად. აღმოსავლეთ ნაწილში რუსთაველის ქუჩის ჩრდილოეთით წარმოდგენილია როგორც კირქვების ციცაბო და შვეული გაშიშვლებები, ასევე აქ არსებული ორი მცირე ხევის შედარებითი დამრეცი, ზომიერად ციცაბომდე დახრილობის ფერდობები.



### 3.1 ადმინისტრაციული რუკა



### 3.2 ბუნებრივი პირობების ზოგადი დახასიათება

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური და ბუნებრივი პირობებით მრავალფეროვანია. ზოგადად იგი სურამის ქედით აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონებად იყოფა. ეს ორი რაიონი კი თავისი კლიმატურ მეტეოროლოგიური თავისებურებებითაც განსხვავებულია ერთმანეთისგან.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები ძირითადად ზომიერი და უფრო მკაცრი კლიმატური პირობებით ხასიათდებიან, ვიდრე დასავლეთ საქართველოს რაიონები. ზოგადად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საშუალო ტემპერატურა ზაფხულში  $+17^{\circ}\text{C}$  დან  $+29^{\circ}\text{C}$  მდე მერყეობს, ზამთარში კი  $-5^{\circ}\text{C}$   $-10^{\circ}\text{C}$ -ს აღწევს. იმერეთის ამ რეგიონში კი ზამთარი უფრო ცივი და შედარებით ხანგრძლივია დიდ კავკასიონთან სიახლოვის გამო ვიდრე სხვა რაიონებში (ყინვები  $-10$ , იშვიათად  $-15^{\circ}\text{C}$  მდე), ნალექების რაოდენობა კი 1500 მმ-ს, ზოგჯერ კი 2000 მმ-საც აღწევს.

14 | Page

#### 4. გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სეისმურურობა

ზემო იმერეთის და რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა (გზები) გაივლის საჩხერისა და ონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

გეოტექტონიკური დარაიონების მიხედვით საპროექტო ტერიტორია მოიცავს კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ნაოჭა სისტემის გაგრა-ჯავის ზონის და საქართველოს ბელტის საზღვრისპირა - გარდამავალ რაიონებს.

რამდენადაც საპროექტო ტერიტორია შედის სხვადასხვა გეოტექტონიკური ერთეულების შემადგენლობაში, იმდენად მათი ამგები ქანები განსხვავებული ფაციესებით არის წარმოდგენილი. ამავე დროს ტერიტორიის ნაწილები სხვადასხვა ავტორების მიერ არის აგეგმილი და ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ასაკის ქანების წყებები სხვადასხვა გეოტექტონიკურ ერთეულში განსხვავებულ სახელებს ატარებენ.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ქვედა პალეოზოურ - კამბრიულამდელი, ზედა პალეოზოური, ოლიგოცენური და მეოთხეული წარმონაქმნები. ძირულის მასივში (მათ შორის ჭიათურის ზონაში) ქვედა პალეოზოურ-პრეკამბრიულამდელი წარმოდგენილია სხვადასხვაგვარი კრისტალური ფიქლებით, გნეისებით, მიგმატიტებით, მეტამორფული ფიქლებით, ფილიტებით, რომლებიც გაკვეთილია პალეოზოური გრანიტოიდებით, პალეოზოური ასაკისვე ფუძე და ულტრაფუძე ქანებით. ამ ქანებს ზევით ზედა პალეოზოური ასაკის კვარცპორფირების „ჭიათურის წყება“ მოჰყვება. ცარცული ასაკის ნალექები წარმოდგენილია კირქვებით და მერგელებით.

არსებული გეოტექტონიკური და ზოგადი მორფოლოგიური თავისებურებების, აგრეთვე ამგების ქანების მდგრადობის და დანაწევრების ხარისხის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი გეომორფოლოგიური არეები,



რელიეფის დამახასიათებელი ტიპებით და ფორმებით. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში გამოიყო: - ცარცულ კარბონატულ და შუა და ზედა იურულ, ლაგუნურ-კონტინენტურ ნალექებზე განვითარებული საშუალო და დაბალმთიანი ეროზიულ-დენუდაციური რელიეფი მოსწორებული ზედაპირით. ამ ტიპის რელიეფი არაფართო ზოლის სახით გავრცელებულია იურულ და პალეოგენურ ნალექებს შორის. რელიეფის იერს განსაზღვრავს როგორც ქანების ლითოლოგიური შედგენილობა, ასევე ტექტონიკური აგებულება მათი გავრცელების არეალში. აქ გავრცელებული ლაგუნურ-კონტინენტური ნალექები, თიხები, ქვიშები, თაბაშირიანი შრეები ქმნიან მოსწორებულ, რბილ რელიეფის ფორმებს, რომლებიც ნაკლებად მდგრადია დენუდაციის მიმართ და ხასიათდებიან მეწყრული მოვლენების სიხშირით.

ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მოქცეულია I-საქართველოს ნაოჭა სისტემის ჰიდროგეოლოგიური ოლქის I<sub>2</sub>- კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ნაოჭა ზონის ჰიდროგეოლოგიური რაიონის I<sub>2</sub><sup>1</sup>- დასავლეთი დაძირვის ჰიდროგეოლოგიური ინტერმასივს და II-საქართველოს მთათაშუა დეპრესიის ჰიდროგეოლოგიური ოლქის II<sub>1</sub> - კოლხეთის არტეზიული აუზის II<sub>1</sub><sup>7</sup> - რაჭა-ლეჩხუმის არტეზიული აუზს შორის.

გეოტექტონიკური დარაიონების მიხედვით საპროექტო ტერიტორია მოიცავს კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ნაოჭა სისტემის გაგრა-ჯავის ზონის და საქართველოს ბელტის საზღვრისპირა - გარდამავალ რაიონებს.


საპროექტო ტერიტორია რაჭის უბანი მოიცავს კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ნაოჭა სისტემის და საქართველოს ბელტის საზღვრისპირა რაიონს. ამ ორ სტრუქტურას შორის გარდამავალს წარმოადგენს პირველის გაგრა-ჯავის ზონა.

საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 9 (IX) ბალიანი მიწისძვრების ზონას.

ტექტონიკური თვალსაზრისით იმერეთის უბანი მოქცეულია საქართველოს ბელტის ცენტრალური აზეგების ზონაში. იგი წარმოადგენს საქართველოს ბელტის ფარგლებში გაშიშვლებულ კრისტალურ სუბსტრატს და წარმოადგენილია პალეოზოური


ასაკის მეტამორფიზირებული და კრისტალური ფიქლებით, გნეისებით და გრანიტოიდებით და ზედა პალეოზოური კვარცბორფირიტებით და ტუფიტებით. მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადების აუზებში ფიქსირდება 3 სინკლინი, აგებული ოლიგოცენური ნალექებით. სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომდეგი მშენებლობა“ (პნ 01. 01-09) №1 დანართის მიხედვით ტერიტორია მდებარეობს 8 ბალიან (MSK 64 სკალა) სეისმურ ზონაში, რომლის სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A შეადგენს 0,21-ს.

### გზის განთავსების გეოლოგიური რუკა





#### 4.1 ჭაბურღილების განთავსების ადგილმდებარეობა:



#### 4.2 ქაბურღილების განთავსების კოორდინატთა ცხრილი

კოორდინატი	
368874,062	4702281,268
369130,769	4702261,563
369305,590	4702337,465
369510,410	4702450,243
369311,262	4702747,131
369233,874	4702887,640
368957,019	4703102,052
368769,586	4703256,452
368858,559	4703518,980
369046,545	4703733,742
369566,868	4704037,254
369874,769	4704216,028
369789,207	4704642,404
369859,503	4704787,728
370052,855	4704749,369
369936,631	4704965,528
369652,089	4705186,262
369543,259	4705285,554
369532,312	4705302,292
369219,636	4705395,663
368952,184	4705474,950
368938,443	4705816,075
368975,472	4706142,914
368970,973	4706532,725
368905,416	4706823,321
368824,163	4706956,225
368784,674	4707158,398
368684,095	4707291,957
368472,845	4707515,986
368380,658	4707785,678
368449,090	4707893,086
368471,154	4707913,719
368582,921	4707940,139
368939,724	4708075,731
368883,095	4708320,826
368985,346	4708498,845
368928,074	4708564,975
368726,447	4708447,138
368727,329	4708164,875
368603,761	4708203,682
368537,621	4708408,199
368569,480	4708593,881

## 5. საკვლევი ობიექტის მოკლე გეოლოგიურ-ტექტონიკური აღწერა

საკვლევი ობიექტი გეოგრაფიულად დასავლეთ საქართველოში, ზემო იმერეთშია განლაგებული. ადმინისტრაციულად ის მიეკუთვნება საჩხერის მუნიციპალიტეტს და მდებარეობს მდინარე ჯრუჭის ხეობის ქვედა წელში, მის მარცხენა მხარეს, სოფელ სარეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, თითქმის ჩრდილო-სამხრეთ მიმართულებით და დაახლოებით ექვს კილომეტრამდე მონაკვეთს მოიცავს.

გეო-ტექტონიკური მდებარეობის თვალსაზრისით ეს ობიექტი საქართველოს ბელტის ძირულის აზეგების ჭიათურის ზეგანზეა განლაგებული.

გეოლოგიური აგებულების მიხედვით საპროექტო გზის ჩრდილო მონაკვეთი იურული ასაკის ვულკანოგენ-დანალექი და ცარცული ასაკის დანალექი ქანების გავრცელების არეალებზეა განლაგებული. მისი სამხრული მონაკვეთი კი ზედა პალეოგენურ-ნეოგენური ასაკის დანალექ ქანების გავრცელების არეალებთან.

მდინარე ჯრუჭის ხეობაში და მისი მარცხენა შენაკადების ხეობების გასწვრივ, ორივე მხარის ფერდობებზე, მრავალ ადგილას განვითარებულია მცირე აკუმულაციური უბნები, რომლებიც წარმოდგენილია მცირე და საშუალო ზომის, კარგად დამუშავებული ლოდნარითა და კოლუვიურ-ალუვიური ნალექების ერთობლიობით. ლითოლოგიურად კოლუვიური ნალექები წარმოდგენილია ღია ნაცრისფერი და მოყვითალო, მოყავისფრო თიხა-თიხოვან-ნიადაგიანი და აყალოიანი მასალის შემცველი ნარევით. ალუვიური ნალექები კი სხვადასხვა ზომის და რაოდენობის ქვიშა-ლამიან-ხვინჭიანი, თიხოვანი და კაჟარ-კენჭნარი მასალის ნარევით.

### 5.1.1 ზედა ცარცი

ზედა ცარცული ასაკის კირქვები ტრანსგრესიულად გადაფარულია უფრო ძველ ქანებზე და წარმოდგენილია საკვლევი ტერიტორიის მთელ ფართობზე. წყების სიმძლავრე აღემატება 250 მეტრს.

K<sub>2</sub>m - რაიონის ფარგლებში ფართოდ არის გავრცელებული მაასტრიხტული იარუსის მსხვილმარცვლიანი, ქვიშიანი, სქელშრეებიანი კირქვები. ისინი ტრანსგრესიულად არიან განთავსებული ზედა ცარცის უფრო ძველ ქანებზე. მაასტრიხტული იარუსის ქანების სიმძლავრე 50-100 მ. ფარგლებშია.

ზედა ქვეზონა, ასევე, თანხედრით ადევს საშუალო ქვეზონის ნალექებს და წარმოდგენილია ქვიშაქვებით, სპონგოლითიანი ქვიშაქვებით, ქვიშებით და უმნიშვნელო სიმძლავრის მანგანუმიანი შრეებით.

#### 5.1.2 საინჟინრო - გეოლოგიური პირობები

საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყოფა ძირითადი ქანების 2 გეოლოგიური ფორმაცია. I - კარბონატული, II - ტერიგენული. მეოთხეული ასაკის საფარში გამოიყოფა ფერდობული (დელუვიური, კოლუვიური) და ტექნოგენური ნალექების საინჟინრო-გეოლოგიური კომპლექსები.

ძირითადი ქანების ფორმაციები მოიცავს რამდენიმე საინჟინრო-გეოლოგიურ კომპლექსს.

#### 5.1.3 კარბონატული ფორმაცია

სქელშრეებრივი კირქვების საინჟინრო-გეოლოგიური კომპლექსი. კირქვების მასივი დანაწევრებულია ტექტონიკური, ლითოგენეტური და ჰიპერგენული ნაპრალებით. ტექტონიკური ნაპრალები სისტემური - ერთმანეთის პარალელურია, შვეული ორიენტაციისაა. ნაპრალების სისტემა წყვეტილია ნაპრალების სისტემა მასივს ანაწევრებს მსხვილ ბლოკებად. ქანები ხასიათდებიან შემდეგი თვისებებით ( ბ. ჯაჯანიძე; მ. ფეოფილაქტოვი - 1992 მიხედვით):

სიმკვრივე ბუნებრივ მდგომარეობაში ( $\rho$ ) – 2,52 – 2,58 გ/სმ<sup>3</sup>; სიმკვრივე ერთლერძა კუმშვისას ( $\sigma$ ) – 80-120 მეგაპასკალი; ფორიანობა ( $\epsilon$ ) 5,66,0 %; შიდა ხახუნის კუთხე ( $\phi$ ) 33-38°; შეჭიდულობის კოეფიციენტი ( $c$ ) 134-185 კგმ/სმ<sup>2</sup>; სიმტკიცის ზღვარი ჭრისას ( $\sigma$ ) 66-181 კგმ/სმ<sup>2</sup>; დრეკადობის მოდული ( $e$ ) 3,04-3,74; პუასონის კოეფიციენტი - ( $\mu$ ) 9,8-11,1. წყალგაჯერებულ მდგომარეობაში კირქვის სიმტკიცე ეცემა 40-60 მპ-მდე. ამ მაჩვენებლით ქანი დარბილებადია. დარბილების კოეფიციენტი შეადგენს 0,6-0,7 დამუშავებადობის კატეგორია სნ და წ IV -5-82-ის 15ვ მიხედვით;

ბრექჩიისებური კირქვები ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

სიმკვრივე ბუნებრივ მდგომარეობაში ( $\rho$ ) 2,40-2,44 გ/სმ<sup>3</sup>; სიმტკიცე ერთლერძა კუმშვისას ( $\sigma$ ) შეადგენს 20-35 მეგაპასკალს (ქანი ნახევრადკლდოვანი, დარბილებადია) ბრექჩირებული კირქვის დამუშავებადობის კატეგორია სნ და წ IV -5-82-ის 15ბ მიხედვით;

#### 5.1.4 ტერიგენული ფორმაცია

ტერიგენული ფორმაციის ქანები წარმოდგენილია მხოლოდ საკვლევი ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში ქანები განეკუთვნებიან როგორც კლდოვან, ასევე ნახევარკლდოვან და არაკლდოვან ქანთა ჯგუფს. ლითოლოგიურად წარმოდგენილია ქვიშაქვები, კონგლომერატები და ქვიშები. ტერიგენული ფორმაციის ქანების კომპლექსი ტექტონიკურად აშმუშნილია, დანაწევრებულია მცირე რღვევებით და ნაპრალები. ქანები ზედაპირზე - ბუნებრივ და ხელოვნურ გამიშვლებებში ძლიერ გამოფიტულია.

#### 5.1.5 მეოთხეული ასაკის ნალექების საინჟინრო-გეოლოგიური კომპლექსები

საკვლევ ტერიტორიაზე მეოთხეული ასაკის ნალექებში გამოიყოფა დელუვიური, კოლუვიური და ტექნოგენური გენეზისის გრუნტები.

**დელუვიური ნალექები** უპირატესად წარმოდგენილია უბნის აღმოსავლეთ ნაწილში, აქ არსებული ხევების წყალშემკრები აუზები დამრეც და ზომიერად ციცაბო ფერდობების ძირში. საკვლევი ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში დელუვიური გრუნტები



გავრცელებულია ალუვიური ტერასის ფრაგმენტებზე. ლითოლოგიურად გრუნტი წარმოადგენს ძირითადი ქანების ღორღის და ხვინჭის შემცველ თიხნარს და ქვიშნარს. ფერდობებზე დელუვიური ნალექები დამაგრებულია ბალახოვანი მცენარეულობის კორდით. გრუნტი ეროზიული პროცესების მიმართ არამდგრადია, ადვილად გადაირეცხება ფერდობებიდან.

დელუვიონის სიმძლავრე 1-3 მ. ფარგლებში მერყეობს. ფერდობებზე წარმოდგენილი დელუვიური ნალექები განეკუთვნებიან დამლაშებულ გრუნტებს მარილების პროცენტული შემადგენლობა აღემატება 0,50. კოლუვიური ნალექები ფართო გავრცელებით ხასიათდება. დასაღეთ ნაწილში, ცარცული კირქვების შვეული გაშიშვლების გაყოლებაზე კოლუვიური ნალექები შლეიფი 10მ-ზე მეტი სიმძლავრის ფენას ქმნის.

**გრავიტაციული ნალექებში** გრაულომეტრიულად ჭარბობს მსხვილი ღორღი და ლოდები (>50%). შემავსებელი ხვინჭის ქვიშის და მტვრის ფრაქციის ნალექებია. ძველი კლდეზავების მსხვილი ფრაქცია (ლოდნარი, ღორღი) დამაგრებულია. ახალი კლდეზავები დაუმაგრებელია და წარმოადგენს მსხვილი ლოდების ქაოტურ გროვებს.

## 6. საინჟინრო-გეოლოგია

საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება დიდი კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთ ფერდის საშუალო მთიანი დასავლეთ ნაწილის ოლქის ბაისური ასაკის (პორფირიტული წყება) ვულკანოგენურ-დანალექი, კლდოვანი და ნახევრად კლდოვანი ქანების რაიონს.

ჭრილის ქვედა ნაწილი წარმოდგენილია მძლავრი ტუფობრექციების დასტებით და ტუფებით პორფირიტების განფენებით.

ბაისური წყების ზედა ნაწილში განბატინებულია ტერიგენური ფაცია-წვრილშრეებრივი არგილიტები, ალევროლიტები და ქვიშაქვები თიხის ცემენტზე ჰიდროქარს მონტმორილონიტური ტიპის.

ალევროლიტებში და არგილიტებში ფიქსირდება გიფსი, გამოფიტვის ქერქის სიმძლავრე შეადგენს 7-10 მეტრამდე.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, შესწავლილ უბანზე გამოიყო 8 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:

**სგე 1** - ტექნოგენური ნაყარი - გზის საგები კენჭოვანი გრუნტი, თიხაქვიშის და თიხნარის 20%-მდე შემავსებლით, კარბონატული;

**სგე 2** - თიხა ყავისფერი, ნახევრად მყარი, ღორღის 15%-მდე ჩანართებით, თიხნარის შუაშრეებით;

**სგე 3** - თიხნარი ყავისფერი, ნახევრად მყარი, კენჭების 25%-მდე ჩანართებით, კარბონატული;

**სგე 4** - კენჭნაროვანი გრუნტი კაჭარის 5%-მდე ჩანართებით, თიხნარის 30%-მდე შემავსებლით, ძნელპლასტიკური თიხის შუაშრეებით, კარბონატული;

**სგე 5** - ღორღოვანი გრუნტი თიხნარის და თიხაქვიშის 25%-მდე შემავსებლით, ხვინჯის 15%-მდე ჩანართებით, კარბონატული;

სგე 6 - ხრეშოვანი გრუნტი - მსხვილმარცვლოვანი და დამრგვალებული ქვიშის 35%-მდე შემავსებლით, კენჭების 5%-მდე ჩანართებით, თიხაქვიშის შუაშრეებით;

სგე 7 - ქვიშები

სგე 8 - კირქვა

საკვლევე ტერიტორიაზე გაყვანილი ჭაბურღილებიდან და შურფ/ჭაბურღილებიდან ასევე კლდოვანი ქანების გაშიშვლებებიდან აღებულია გრუნტების ნიმუში, ნიმუშებზე ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად (ГОСТ 9.015-74, СНиП 2.03.11-85, BS 1377. Part 4).

ლაბორატორიული კვლევა მოიცავდა როგორც გრუნტების მონოლითური სტრუქტურის, ასევე დაშლილი სტრუქტურის ნიმუშების კვლევას.

როგორც ზევით აღნიშნეთ საველე და ლაბორატორიული კვლევებით სამშენებლო უბანზე გამოყო ექვსი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე).

ყველა გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური (სგე) ელემენტი შესწავლილია ლაბორატორიულად. ლაბორატორიული კვლევის შედეგები მოცემულია ტექსტური დანართების ცხრილებში.

## 6.1 საინჟინრო გეოლოგიური რუკა



საველე სამუშაოების დროს გაიბურღა სახიდე გადასვლებიან (ბურჯების ადგილის) ოთხი ჭაბურღილი თითოეულის სიღრმე 20 მეტრი, ამის გარდა საპროექტო გზის ღერძზე არსებული საქართველოში სამშენებლო ნორმების მიხედვით გაიბურღა ყოველ 300 მეტრში 3 მეტრიანი ჭაბურღილები, ასევე დაემატა საკვანძო ადგილებში 2.5 მეტრიანი ჭაბურღილები, საიდანაც აღებული იქნა ნიმუშები (კერნი), რომლებზეც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები და განისაზღვრა ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები (ჭაბურღლების ჭრილები და ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები მოცემულია დანართის სახით).

## 6.2 რაიონში განვითარებული საშიში გეოლოგიური პროცესები

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში შედის ცაგერის, ონის და ამბროლაურის ადმინისტრაციული რაიონები. რეგიონის ფართობი შეადგენს 3223,8 კმ<sup>2</sup>-ს და მოიცავს 196 დასახლებულ პუნქტს.

რეგიონის მთელი ტერიტორია მიეკუთვნება მთიან ზონას და ხასიათდება რთული ლანდშაფტურ-კლიმატური პირობებით. დასახლებული პუნქტები ძირითადად განლაგებულია მდინარეთა ხეობებში. აქ გავრცელებულია მთიანი რაიონისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა სახის საშიში გეოლოგიური პროცესი: მეწყრები, ღვარცოფები, მდინარეული და ფერდობული ეროზია, დატბორვა, კლდეზვავები, ქვათაცვენა, თოვლის ზვავები, კარსტული და სუფოზიური მოვლენები, მაგრამ ძირითადად დომინირებენ მეწყრული პროცესები, ღვარცოფები და მდინარეთა ნაპირის გარეცხვა.

რეგიონის მთელ ტერიტორიაზე აღსანიშნავია მიწისძვრების საშიშროების მაღალი რისკი. 1991 წლის 29 აპრილის მიწისძვრისა და შემდგომი ბიძგების შედეგად, რომლის სიმძლავრე ონის და ამბროლაურის რაიონის ტერიტორიებზე 7-9 ბალს აღწევდა, დაზიანდა 12000-მდე შენობა-ნაგებობა, მათგან თითქმის ნახევარი მთლიანად დაინგრა. შედარებით მცირე სიმძლავრის (3-5 ბალიანი) მიწისძვრები აღირიცხება თითქმის ყოველწლიურად.

რეგიონი საშიში გეოლოგიური პროცესების ზემოქმედებას განიცდის უწყვეტად, ხოლო მათი განსაკუთრებული გააქტიურება მოხდა 1987-88, 1991 და 1997 წლებში. 1987-88 წლებში პროცესების ძლიერი აქტიურობა გამოწვეული იყო ექსტრემალური მეტეოროლოგიური პირობებით, ხოლო 1991 წელს - ამავე წლის 29 აპრილსა და მისი მომყოლი მიწისძვრებით. მომდევნო 1992-96, 1998 წლებში პროცესების განვითარება ფონურ დონეს არ აღემატებოდა.



ონის რაიონში არსებული 67 დასახლებული პუნქტიდან გეოლოგიური პროცესების მუდმივი ზემოქმედების ზონაში იმყოფებოდა 56, ხოლო დანარჩენი 11 - პროცესების ზემოქმედებას განიცდიდა პერიოდულად. მათგან 36 სოფელში აღინიშნა მეწყრული პროცესების ზემოქმედება, რვაში - პერიოდული ღვარცოფები, ხოლო 23 სოფლის ტერიტორია ზიანდებოდა ეროზიულ-დატბორვითი პროცესებით. საშიში გეოლოგიური პროცესებით დაზიანდნენ აგრეთვე ცენტრალური და შიგასარაიონო საავტომობილო გზები, ხიდები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და სხვა.

აღნიშნულ პერიოდში რაიონში აღრიცხული იყო 179 მეწყერი, 50 ღვარცოფული ხევი, რომლებშიც 49-ჯერ დაფიქსირდა ღვარცოფული ნაკადების გავლა. 9 უბანი, რომელთა საერთო ფართი 85 ჰა-მდეა, თითქმის ყოველწლიურად იტბორებოდა, ირეცხებოდა 25 კმ-მდე საერთო სიგრძის მდინარეების ნაპირები (ძირითადად მდ. რიონისა). 46-ჯერ აღირიცხა კლდეზვავური პროცესი, დაფიქსირდა ქვათაცვენის - 21, თოვლის ზვავების ჩამოყალიბების 32 (აქედან 5 უბანი ყოველწლიურად მოქმედი), სუფოზიური და დატბორვითი პროცესების განვითარების 17 უბანი.

ზემოთ აღნიშნულმა პროცესებმა დააზიანეს 1200 ჰა-ზე მეტი მიწის ფართი, საავტომობილო ხიდები 47-ჯერ, 175 კმ ჯამური სიგრძის საავტომობილო გზის მონაკვეთები და მდ.რიონზე 3 კმ სიგრძის ნაპირსამაგრი ნაგებობები.

საშიში გეოლოგიური პროცესების აქტიური ზეგავლენის ზონაში მოექცა 1507 შენობა-ნაგებობა. გადასასახლებელი გახდა 501 კომლი. მთლიანად დაინგრა სოფ. ჩორდი. დაკვირვება დაწესდა 690 შენობა-ნაგებობაზე.

ონის რაიონში 1997 წელს არსებული 179 მეწყერიდან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ სოფ. ფარახეთის, შარდომეთის, წედისის, ღების ტერიტორიებზე და ქ. ონის დასავლეთით ონი-ქუთაისის გზაზე განვითარებული მეწყრები. მდ. ჭეშორას აუზში ჩამოყალიბდა ღვარცოფული ნაკადი, რომელმაც იმსხვერპლა ადამიანის სიცოცხლე. ღვარცოფები გამოვლინდა აგრეთვე სოფ. ღების და

ჭიორას ხევებში, მდ. საკაურას ხეობაში, აგრეთვე უსახელო ხევში, რომელმაც დააზიანა ღები-ჭიორას საავტომობილო გზა. მდინარეების ნაპირის გარეცხვის შედეგად 7 უბანზე დაზიანდა 20 კმ სიგრძის ნაპირი, 3 უბანზე დაიტბორა 55 ფა ფართობი (სოფ. ლაგვანთაში საჭირო გახდა 10 კომლის სასწრაფო ევაკუაცია); დაფიქსირდა კლდეზვავებისა და ქვათაცვენის 5 უბანი, რომლებმაც დააზიანეს საავტომობილო გზების მონაკვეთები. აღრიცხული იყო თოვლის ზვავის 16 ჩამოსვლა. ნიაღვრების შედეგად ქ. ონში დაიტბორა ფერდობის მიმდებარე ქუჩების საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები და ეზოები, აღირიცხა გრუნტის წყლების შეტბორვის ერთი უბანი.

დაზიანდა ერთი ხიდი და საავტომობილო გზის მონაკვეთები 20კმ საერთო სიგრძეზე. საშიშროება შეექმნა 263 შენობა-ნაგებობას.

### 6.3 რაიონში განვითარებული საშიში გეოლოგიური პროცესების ამსახველი რუკა



## 7. საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა

საინჟინრო-გეოლოგიური კარტირების შედეგად, რომელიც განხორციელდა მოცემული დავალების შესაბამისად, საპროექტო ტრასის გასწვრივ 200-259 მ-ის სიგანის ზოლში, გამოიყო სახასიათო მონაკვეთები, საფარი გრუნტებისა და ძირითადი (კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი) ქანების გენეტიკური ნაირსახეობების გავრცელების უბნების დაგენის მიზნით. კლდოვანი ქანების გავრცელების უბნებზე განისაზღვრა მათი ნაპრაღიანობა – აიგო ვარდების დიაგრამები და დადგინდა ამავე უბნებისათვის კლდოვანი ქანების მასის რეიტინგი (RMR) და კლდოვანი ქანის ხარისხის მაჩვენებელი (Q).

კარტირების პროცესში აღებული კლდოვანი ქანების ნიმუშები გადაეცა შპს „გეოტექსერვის“-ს ლაბორატორიას, სადაც განისაზღვრა ქანების წინააღმდეგობა ერთდერძა კუმშვაზე და წერტილოვან დატვირთვაზე. მიღებული შედეგები მოცემულია ტექსტურ დანართში 2.

საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა იწყება საჩხერე-ჭიათურის საავტომობილო გზიდან და გრძელდება სოფ. სარეკიდან და სოფ. დარკვეთიდან მდ. ჯრუჭულას ხეობის გაყოლებით სოფ. ცხომარეთამდე, ხოლო შემდეგ სოფ. უზუნთის გავლით გადაკვეთს ხიხათის ქედს და ჩადის სოფ. შქმერში, საიდანაც ეშვება მდ. რიონის ხეობაში.

აღნიშნულ გზის და მისი მიმდებარე ფართობების შესწავლის შემდეგ შესაძლებელი გახდა მთლიანი მარშრუტი გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით რამდენიმე უბნად დაგვეყო:

საპროექტო გზას დასაწყისში აქვს ორი მიმართულება: 1) საჩხერე-ჭიათურის საავტომობილო გზიდან სოფ. სარეკის გავლით მდ. ჯრუჭულაზე გადასასვლელ ხიდამდე და 2) საჩხერე-ჭიათურის საავტომობილო გზა გადის სოფ. დარკვეთში და მდ. ჯრუჭულას მარჯვენა ციცაბო ფერდობების გავლით ასევე უერთდება აღნიშნული მდინარის გადასასვლელ ხიდს.

პირველი ვარიანტი დაბა საჩხერის დაბოლოებაში ჭიათურისკენ მიმავალი საავტომობილო გზიდან მალევე უხვევს მარჯვნივ სოფ. სარეკის მიმართულებით.



ეს ადგილები წარმოდგენილია მცირე დაქანების სუსტად ტალღისებურ-საფეხურისებური ფორმის ეროზიულ-აკუმულაციური ფერდობებით, რომელიც აგებულია პალეოგენური სისტემის ჭიათურის მადნისწყების ქვედა პორიზონტით ( $PC_1$ ). ისინი ზემოდან გადაფარული არიან დელუვიური ( $dQ_{IV}$ ) და ელუვიურ-დელუვიური ( $edQ_{IV}$ ) წარმონაქმნებით – თიხებით და თიხნარებით ღორღისა და ნატეხების ჩანართებით. მათი სავარაუდო სიმაღლავრე 1.0 მეტრს აღემატება. ეს უბანი ხასიათდება ასევე რელიეფის ტექნოგენური ფორმებით და ნაყარი ქანებით. რელიეფის ტექნოგენური ფორმები დაკავშირებულია ძველ და მიტოვებულ ღია კარიერებთან, რომლებსაც საკმაოდ დიდი ფართობი უკავიათ და სიღრმითაც 15,0 მეტრს უნდა აღწევდნენ. ეს კარიერები ამჟამად არ ფუნქციონირებენ და გამოიყენებიან საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების დასაყრდელად (იხ. ფოტო 1,2).



ფოტო №1 და №2

მოცემული უბანი შესაძლოა გაგრძელდეს სოფ. სარეკის ბოლომდე, სადაც გზა მკვეთრად უხვევს. აქ საჩხერე-უზუნთის საავტომობილო გზის გაყოლებით ვხვდებით კარგად გამოკვეთილ სტრატეგრაფიულ უთანხმოებას, სადაც აპტისა და ალბის კირქვებს ზემოდან ადევს ჭიათურის წყების ქვედა პორიზონტის ქვიშები და ქვიშაქვები (იხ. ფოტო-3).





ფოტო №3

შემდეგ საპროექტო ტრასა მიუყვება სოფ. უზუნთისკენ მიმავალ საავტომობილო გზას მდ. ჯრუჭულაზე გადასავლელ ხიდამდე. ეს უბანი ხასიათდება ფერდობების დიდი დაქანებით, რელიეფის საფეხურისებური ფორმებით. ქანობები 30-40<sup>0</sup> აღწევენ. ფერდობები გადაფარულია დელუვიური და ელუვიურ-დელუვიური წარმონაქმნებით, თიხებით და თიხნარებით მსხვილნატეხიანი მასალის ჩანართებით. მათ საგებად უდევს ცარცული ასაკის კირქვები და ზედა იურული ასაკის პორფირიტები, რომელთა შორისაც გამავალი რღვევის ზოლი მკვეთრად ისახება (იხ. ფოტო №4-ის შორი ხედი). რღვევის ზოლთან დაკავშირებულია მეწყრული მოვლენების განვითარება (იხ. ფოტო №4 და №5). მეწყერი ამ ეტაპზე არ გამოირჩევა მნიშვნელოვანი აქტიურობით, თუმცა ადგილობრივი მცხოვრებთა გამოკითხვის შედეგად გზის ამ მონაკვეთზე ხშირად იჩენს თავს სხვადასხვა სახის დეფორმაციები, რაც ხშირად სამანქანო მოძრაობის შეფერხებას იწვევს. მეწყერს გზის გაყოლებით დაახლოებით 200 მეტრიანი სიგანის ზოლი უკავია, ფერდობის



აყოლებით 500-700 მეტრზე გრძელდება, ხოლო გზიდან დაბლა მდ. ჯრუჭუღას ნაპირებამდე აღწევს.



ფოტო №4 და №5

გზის გაყოლებით ვხვდებით წყაროების გამოსავლებს, რომლებიც კაპტირებულია და სასმელად გამოიყენება (იხ. ფოტო №6). აქვე ვხვდებით კირქვების მასივის გამოსავალს, რომელიც ძლიერ გამოფიტული და დაშლილია. ამჟამად მასივში მოწყობილია კარიერი მოსახრეში მასალის მოსაპოვებლად (იხ. ფოტო №7).



ფოტო №6



ფოტო №7

როგორც აღვნიშნეთ ეს უბანი სრულდება მდ. ჯრუჭულაზე გადასასვლელ ხიდთან. აქ მდ. ჯრუჭულას გააჩნია ტრაპეციის ფორმის განიერი ძირის მქონე კალაპოტი თავისივე ჭალის ტერასით, რომელიც დაფარულია ბუჩქნარით. კალაპოტი ამოვსებულია ალუვიური (aQIV) და ალუვიურ-პროლუვიური (apQIV) ნალექებით. მასალა წარმოდგენილია კირქვისა და ტუფისებური ქანების ლოდებით და მსხვილი ნატეხებით. მასალა ცუდადაა დამუშავებული (იხ. ფოტო №8 და №9.





ფოტო №8 და №9

საპროექტო გზის დასაწყისის მეორე ვარიანტი, როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, სათავეს იღებს მდ. ჯრუჭულას და მდ. ყვირილას შესართავთან. აქ მდ. ყვირილას წარმოქმნილი აქვს მარჯვენა ჭალისზედა ტერასა, სადაც გადის ცენტრალური საავტომობილო ტრასა. ტერასა განიერია 50-60 მეტრის, რომელიც ზემოდან გადაფარულია დელუვიური (dQIV) და ტექნოგენური წარმონაქმნებით (tQIV). ეს უკანასკნელი ძირითადად მოჭრილი გრუნტის და საწარმოო ნარჩენების სახითაა წარმოდგენილი.



ფოტო №10

აღნიშნული ადგილიდან საპროექტო გზა მიუყვება მდ. ჯრუჭულას მარჯვენა ჭალისზედა ტერასას, საიდანაც იგი ახორციელებს საკმაოდ რთულ ასვლას სოფ. დარკვეთის მიმართულებით. მდ. ჯრუჭულა მის ქვედა დინებაში ღრმა ჩაჭრის ვიწრო კანიონისებური ხეობაში მიედინება. ფერდობები აგებული არიან ქვედა ცარცული ასაკის მასიური კირქვებით, რომლებიც კარნიზებისა და შვერილების სახით რელიეფის თითქმის ვერტიკალურ ფორმებს ქმნიან (იხ. ფოტო №11 და №12). მიუხედავად ამისა მდინარეს გააჩნია არცთუ დიდი სიგანის, მაგრამ რელიეფში კარგად გამოხატული ჭალის ზედატერასა (იხ. ფოტო №11 და №13), რომელიც აგებულია კარგად დამუშავებული კაჭარ-კენჭნაროვანი მასალით. ტერასის ნაპირები, როგორც ადგილზე ჩანს წყალდიდობების დროს ბევრ ადგილზე ირეცხება.





ფოტო №11 და №12



ფოტო №13



ამ ადგილებიდან საპროექტო გზა გადაინაცვლებს ფერდობის თავში, სოფ. დარკვეთის ტერიტორიაზე. ეს ადგილები ხასიათდება ზეგანის ფორმის სუსტი სამხრეთ-აღმოსავლეთის დაქანების ფერდობებით, რომლებიც დანაწევრებული არიან ადგილობრივი არაღრმა ჩაჭრის ხეობებით და მათი განშტოებებით. ფერდობები დასახლებულია და გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და მცირე საწარმოების მიერ. ამ მიდამოებში ძირითადი კლდოვანი ქანების გამოსავლები მხოლოდ ღრმა ხეობების ჩაჭრებში ვლინდებიან. საფარი ქანები კი წარმოდგენილი არიან ელუვიური (eQIV) და ელუვიურ-დელუვიური (edQIV) თიხებით და თიხნარებით, რომელთა სავარაუდო სიმძლავრე 2,0-3,0 მეტრის ფარგლებში უნდა მერყეობდეს.



ფოტო №14, 15 და 16

გეოდინამიკური მოვლენებისა და პროცესების განვითარება ამ ადგილებში ნაკლებად მიმდინარეობს. შეგვიძლია აღვნიშნოთ მხოლოდ ხეობებში მიმდინარე ეროზიული პროცესები და ფერდობებზე განვითარებული სიბრტყითი გადარეცხვები. აქვე შეიძლება აღინიშნოს ტექნოგენური ხასიათის მეწყრული ფორმები, რომლებიც დაკავშირებული არიან ძველ მიტოვებულ ღია კარიერებთან, სადაც ერთ დროს მართლა ჰქონდა ადგილი გარკვეულ მეწყრული მოვლენების განვითარებას, მაგრამ ამჟამად ეს ადგილები მთლიანად დაფარულია მცენარეული საფარი და ეს პროცესები შეჩერებულია (იხ. ფოტო №17 და №18)



ფოტო №17 და №18

ამ ადგილების გაყვლის შემდეგ საპროექტო გზა მიუყვება მდ. ჯრუჭულას მარჯვენა ფერდობზე არსებული მაღალი კირქეული კარნიზების ზედა კიდე. თვალსაჩინოებისათვის ჩვენი მარშრუტი გაგრძელდა მდ. ჯრუჭულას მარცხენა სანაპიროს გაყოლებით. აქ მდ. ჯრუჭულა ქმნის განიერ ყუთისებურ ხეობას, რომლის ბორცვები, განსაკუთრებით მარჯვენა, რომლის თავზეც გაივლის საპროექტო გზა, აგებულია ვერტიკალური განლაგების მაღალი კირქეული კარნიზით. კალაპოტი ამოვსებულია კარგად დახარისხებული ალუვიური (aQIV) და ალუვიურ-პროლუვიური (apQIV) მასალით.



ფოტო №19 და №20



კარნიზების დასრულების შემდეგ რელიეფი გადადის მდ. ციხისწყალის და მდ. სათოფელას ხეობების დაბლობ ადგილებში. აქ აღნიშნული მდინარეები მდ. ჯრუჭულას ერთიან და წარმოქმნიან ერთიან ვრცელ ჭალის ტერასას, შეესაბამება ალუვიურ-პროლუვიური ნალექებით. აქ მდ. ჯრუჭულას ხეობა განიერია, დამრეცი და არამაღალი ფერდობებით, რომლებიც აგებულია ზედა იურული ვულკანოგენურ-დანალექი ქანებით, პორფირიტებით. მდ. ციხისწყალის და, განსაკუთრებით მდ. სათოფელას შესართავი, ასევე განიერი კალაპოტით და დამრეცი არა მაღალი ფერდობებითაა აგებული. მის მარცხენა ფერდობებზე, შესართავთან ახლოს შემორჩენილია ძველი ტერასის ფრაგმენტები ორი საფეხურის სახით, ჭალა კი გატყვანებულია, რაც ძლიერი ეროზიული პროცესების მიღევად ხასიათზე მიუთითებს.



მდ. ჯრუჭულას ხიდან საპროექტო გზის ეს ორი ვარიანტები ერთდება და მდინარის მარცხენა ნაპირს მიუყვებასოფ. ცხომარეთამდე.

რა შეიძლება ითქვას საპროექტო გზის დასაწყისის ამ ორ ვარიანტზე? პირველი მათგანი, მომავალი საჩხერე-ჭიათურის გზატკეცილიდან სოფ. სარეკის გავლით მდ. ჯრუჭულას ხიდამდე მიუყვება საჩხერე-ცხომარეთი-უზუნთის არსებულ საავტომობილო გზას, რომელიც ფუნქციონირებს და გარკვეული სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ II კლასის გზებისთვის სავსებით დამაკმაყოფილებელ სახეს მიიღებს. თუმცა აქაც შეიძლება გარკვეული შენიშვნის შეტანა: აღნიშნული გზის პროექტი სოფელ სარეკის ცენტრიდან სცილდება საჩხერისკენ მიმავალ არსებულ გზას და ორღობეების გავლით სოფლის მჭიდროდ დასახლებულ ქვედა უბნებში გადადის, ხოლო საჩხერე-ჭიათურის ტრასასთან შერთვის მიდამოებში, უშუალოდ ემიჯნება აქ არსებულ ქვის კარიერს.

მიგვაჩნია, რომ ეს გარემოებები მნიშვნელოვნად გაართულებს გზის პროექტირებისა და მშენებლობის პირობებს.

რაც შეეხება საპროექტო გზის მეორე ვარიანტს, გამავალს სოფ. დარკვეთიდან მდ. ჯრუჭულას მარჯვენა სანაპიროთი გადასასვლელ ხიდამდე, საკმაოდ რთულად განსახორციელებელი ჩანს, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა აქაური რელიეფი საკმაოდ რთულია, გაუკვალავი, მის ათვისებას დასჭირდება რამდენიმე რთულად განსახორციელებელი სერპანტინა, გადასასვლელი ხიდები და მრავალი ბოგირი და, რაც მთავარია მისი დანიშნულება რთულად დასასაბუთებელია.

მდ. ჯრუჭულას ხიდიდან საპროექტო გზა, როგორც აღნიშნეთ, მიუყვება არსებულ საავტომობილო გზას, მდ. ჯრუჭულას მარჯვენა სანაპიროს გაყოფებით. აქ გზის გაჭრისა და შემდგომ მისი გაფართოების მიზნით ჩატარებული სამუშაოების დროს მრავლადაა მოჭრილი ფერდობები, სადაც ვხვდებით ძირითადი კლდოვანი ქანების გამოსაველებს. ამ გამოსაველების მთავარი და მახასიათებელი ნაჩენები ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა და თითოეული უბნისათვის განისაზღვრა კლდოვანი



გრუნტების ნაპრაღიანობა – აიგო ვარდების ღიაგრამები და დადგინდა ამავე უბნებისათვის კლდოვანი ქანების მასის რეიტინგი (RMR) და კლდოვანი ქანის ხარისხის მაჩვენებელი (Q).

აღნიშნული გზა სოფ. ქვემო ხევამდე რაიმე მნიშვნელოვანი ფორმებით ან გეოდინამიკური პროცესების განვითარებით არ ხასიათდება. რელიეფი შედარებით მშვიდია. მდ. ჯრუჭულას კალაპოტი ვიწროვდება და ფართოვდება იმის მიხედვით თუ გვერდითი ერზიის ძალები როგორ ზეგავლენას ახდენენ მის სანაპირო ზოლზე და როგორია ადგილობრივი ტექტონიკურ-გეოლოგიური პირობები. აქ ფერდობები აგებულია ბაიოსური ასაკის ვულკანოგენურ-დანალექი ქანებით, ძირითადად პორფირიტებით, ასევე ტუფებით. რელიეფში ხშირად შეინიშნება გვერდითი შენაკადების ძველი გამოზიდვის კონუსები, როლებიც უმეტესად მდ. ჯრუჭულას ჭალისზედა ტერასებთანაა შერწყმული. ეს ტერასები არაა მაღალ ნიშნულებზე განლაგებული და მათი ნაპირები, უმეტესად, გვერდითი ეროზიას ეწირებიან.



ფოტო №21 და №22

სოფ. ქვემოხევის შემდეგ, მდ. ჯრუჭულის დინების აყობებით, საპროექტო გზა კვეთავს რამდენიმე დვარცოფსაშიშ მარჯვენა შენაკადს, როლებიც გამოირჩევიან კალაპოტში თანამედროვე პროლუვიური მასალის მნიშვნელოვანი დაგროვებით. გარდა ამისა მათ შესართავებთან და ქვემო დინებაში ფერდობებზე შეინიშნება ძველი პროლუვიური გამოზიდვის კონუსების ფრაგმენტები, რაც ამ მდინარეების

ღვარცოფულ წარსულზე მეტყველებს. მათ შორის შეიძლება გამოვეყოთ მდ. მოხეურა, მდ. ფოცხნარა და მდ. წყალფენილა.



ფოტო №23





ფოტო №24

ამ მდინარეების მიერ წარმოქმნილი გამოზიდვის პროლუვიური კონუსები, როგორც წესი, ფარავენ მდ. ჯრუჭულას მარჯვენა სანაპიროს და მის ჭალისზედა ტერასებს.

სოფ. ცხომარეთის შემდეგ საპროექტო ტრასა აუყვება სოფ. უზუნთასკენ მიმავალ გზას. სოფ. უზუნთა ჰიპსომეტრულად მაღლაა განლაგებული, აბსოლუტურ ნიშნულთა სხვაობა 500-600 მეტრს შორის მერყეობს (ზემო უზუნთამდე 1 კმ-ს აჭარბებს). გზა სოფლამდე საკმაოდ დახვეული სერპანტინით ადის, აქ ფერდობების დაქანება დიდი, ზოგან 30-35° აჭარბებს. ფერდობები აგებულია ბაიოსური ასაკის პორფირიტებით, რომლებიც ხშირად ზოგგან ძლიერ გამოფიტულია და გზის გასწვრივ გაშიშვლებებში კოლუვიური მასალის მცირე დანაგროვებებს წარმოშობს, არის ქვათაცვენის შემთხვევებიც.

თვითონ სოფლის ტერიტორია სამხრეთული მცირე დაქანების ფერდობს წარმოადგენს. ფერდობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მკაფიოდ გამოხატული წაგრძელებული ფორმა გააჩნია, რომელიც, როგორც ჩანს, თავის დროზე ძლიან

მძლავრი მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების შედეგად ჩამოყალიბდა. იმ ეპოქაში მძვინვარე პროცესებმა შეძლეს ფერდობებიდან დიდი რაოდენობით პროლუვიური მასალით ჩამოტანა, ამ ადგილებში მათი დაღეჭვა და შესაბამისად რელიეფის განსხვავებული ფორმები ჩამოყალიბება. ამას მოგვიანებით დაემატა მდ. ფოცხნარასა და მდ. წყალფენილას მიერ წარმოებული ღრმა ეროზიული ჩაჭრები, რამაც განაპირობა რელიეფის ამ ფორმების კიდევ უფრო გამოცალკეება დანარჩენი მიმდებარე ტერიტორიებისგან. საბოლოოდ წარმოიქმნა გლექჩერისებური წაგრძელებული ფორმის მორფოლოგიური სხეული, რომლის სიგქე, ზემო უზუნთის ჩათვლით, 3-4 კმ აღწევს, ხოლო სიგანე ძალზე ცვალებადია და რამდენიმე ათეული მეტრიდან 700-900 მეტრამდე აღწევს. თვითონ ამ მორფოლოგიური სხეულის ზედაპირი ტალღისებურ-საფეხურისებური ფორმებით გამოირჩევა, მაქსიმალური დაქანებით  $10^0$ -მდე. აგებულია იგი მსხვილი ლოდებითა და ღორღ-ნატეხოვანი მასალით, თიხა-თიხნაროვანი გრუნტის შემავსებლით. მათი სავარაუდო სიმძლავრე ზოგიერთ უბნებზე რამდენიმე ათეულ მეტრს უნდა აღემატებოდეს. ეს წარმონაქმნები განლაგებულია იურული ასაკის ვულკანოგენურ-დანალექ ქანებზე. გეოდინამიკური პროცესების მიმდინარეობა თვითონ აღნიშნული მორფოლოგიური ფორმის ზედაპირზე არ აღინიშნება, მხოლოდ მდ. ფოცხნარასა და მდ. წყალფენილას მიერ წარმოებული ღრმა ეროზიული ჩაჭრებში ვხვდებით მეწყრულ-ეროზიული პროცესების გააქტიურებას.






ფოტო №25 დელუვიურ-პროლუვიური წარმონაქმნები სოფ. ქვემო უზუნთაში



ფოტო №26 დელუვიურ-პროლუვიური წარმონაქმნები სოფ. ქვემო უზუნთაში და მდ. ფოცხნარას მარცხენა ფერდობი





ფოტო №27 მდ. ფოცხნარას მარჯვენა ფერდობი, საპროექტო გზის  
ალტერნატიული ვარიანტი



ფოტო №28 დელუვირ-პროლუვიური წარმონაქმნები და გზა ზემო უზუნთისკენ





ფოტო № 29 სოფ. ზემო უზუნთა, მდ. წყალფენილას შესაკადი





აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფ. უზუნთასთან საპროექტო გზას აქვს ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც გადადის მდ. ფოცხნარას ვიწრო და რღმა ხეობაში და სერპანტინის მსგავსი მოხაზულობით მის ხეობას 5-6 ჯერ კვეთს. ეს ვარიანტი ჩვენი მხრიდან განხილული იქნა და იმ სირთულეებიდან გამომდინარე, რომელიც აქ შესაძლოა წარმოიშვას, მიუღებლად ჩავთვაღეთ. უმთავრესი მიზეზი კი მდგომარეობს იმაში რომ, ამ მიმართულებაზე გზას მოუწევს ძალზე რთულ, აუთვისებელ გარემოში გავლა, ტრასა უმიზნოდ გრძელდება და გადასაკვეთი იქნება ძალზე ღრმა ხეობები, ამის მიზეზი კი ნამდვილად არ არსებობს, არც ეკონომიკური კუთხით და არც რაიმე დანიშნულების მისაღწევად.

ზემო უზუნთიდან გზა მიუყვება რელიეფის ერთგვარ თხემურ ნაწილს და მაღალი ფერდობების გავლით შედის ხშირი ტყის მასივში. აქ საპროექტო გზა მისდევს თავის დროზე მაღალი ძაბვის გადამცემი ელექტროხაზისმშენებლობისათვის გაყვანილ გრუნტის გზას. ამჟამად აღნიშნული გზა ძალზე სავალალო მდგომარეობაშია, იგი დაღრანტულია ხე-ტყის საზიდი მძიმე მანქანების მიერ. ღრანტეების ჩატრა ეროზიული პროცესების მიერ კიდევ უფრო არის გაღრმავებული და დღეს ამ გზით მხოლოდ მუხლუხებიან სატრანსპორტო საშუალებებს შეუძლია გადაადგილება.



ფოტო №31 ახალგაზრდა ტყის მასივი

ამ ადგილებში ტყის საფარის სიხშირის გამო რელიეფი რთულად იკითხება და, საერთოდ, სხვა ვიზუალური ინფორმაციის მიღებაც ჭირს. ძირითადი კლდოვანი ქანების გამოსავლებიც ნაკლებად შეინიშნება. საფარი ქანები შეიძლება მივაკუთვნოთ დელუვიურ და ელუვიურ-დელუვიური გენეზისის თიხოვან ქანებს, თუმცა მათი სიმძლავრე 1,0-1,5 მეტრს იშვიათად სცილდება (გზის გაყოლებით არსებული ჭრილების მიხედვით). გრუნტები გამუდმებით სველ მდგომარეობაში იმყოფება და მათი კონსისტენციაც შესაბამისად რბილ-პლასტიკური მდგომარეობისკენ იხრება. ასევე ხშირია მძლავრი წყაროების გამოსავლებიც (იხ. ფოტო №32 და №33)



ფოტო №32



ფოტო №33 კრეჭიას წყარო

კრეჭიას წყაროდან მოყოლებული საპროექტო გზა თითქმის ხიხათას ქედის ძირს მიუყვება, იმ კირქეული კარნიზების ქვეშ, რომლის ჩრდილო ფერდი რაჭაში გადადის, თუმცა პირდაპირი გასასვლელი ქედს არ გააჩნია და მიუდგომელია არა მარტო საავტომობილო მიმოსვლისთვის, არამედ ფეხით სასიარულო ბილიკებიც ცოტაა. აქ რელიეფი ტაფობის ფორმის მსგავს ვიწრო ზოლად მიუყვება აღნიშნული ქედს. ხშირია რელიეფის ჩადაბლებული ფორმები, რომლებიც, ვეფიქრობთ, კარსტული წარმოშობის უნდა იყოს.





ფოტო №34



ფოტო №35

საპროექტო გზის ამ მონაკვეთის გაყოლებაზე, ზოგჯერ ხდება ფერდობებიდან ჩამოსული წყლების დროებითი აკუმულირება ტაფობის ზოლში, რომლებიც საბოლოოდ გადაედინება ფერდობებისკენ და გზის წარბა ნაწილში ჩახრამეებს ანვითარებს (იხ. ფოტო №34 და №35). ამავე ზოლში ფიქსირდება რამდენიმე მეწერული წარმონაქმნი, რომელიც, ვფიქრობთ, მომავალში თავის განვითარებას გააგრძელებს (იხ. ფოტო №36).





ფოტო №36 მეწყერი

ამის შემდეგ საპროექტო გზა აღმოსავლეთი მხრიდან შემოუვლის ხიხათას ქედს და მოექცევა რა მის ჩრდილო კალთებზე გამოდის ტყიანი ზოლიდან, გადაკვეთს რამდენიმე მცირე წელიან ხევს და ჩადის შქმერი-უშოლთის ტექტონიკურ ტაფობზე. აღნიშნულ ტაფობს ვაკე, კარგად მოსწორებული რელიეფი გააჩნია და შემოზღუდულია კირქვების მასივებით აგებული მაღალი ფერდობებით, რომელიც მდ. რიონის მხარესაა მხოლოდ გახსნილი. ტაფობი სუსტადაა დანაწევრებული მდ. ხეურის და მდ. ჭარნათისწყლის დიდი და პატარა შენაკადებით. ეს მდინარეები არც წყალუხვობით და არც მიმდინარე ეროზიული პროცესების აქტიურობით არ გამოირჩევა. ტაფობი აგებულია ცარცული სისტემის აპტი-ალბისა ( $K_1 ap+al$ ) და სენომანური ( $K_2 cen$ ) ასაკის მოთეთრო ფერის თხელშრებრივი კირქვებით,



ბროს ენერჯი ჯგუფი  
საინჟინრო-სამონტაჟო კომპანია  
GROSS ENERGY GROUP  
ENGINEERING-CONSULTING COMPANY

რომელიც ჭრილებში ადვილად იშლება და წვრილ მონატეხოვან მასალას წარმოშობს.

ტაფობი ზემოდან გადაფარულია ელუვიურ და ელუვიურ დელუვიური წარმონაქმნებით, კერძოდ თიხა-თიხნაროვანი გრუნტით ძირითადი ქანების (სენომანური ასაკის კირქვების) ღორღ-ნატეხოვანი მასალის ჩანართებით. აქ მდინარე ხეურის მარცხენა ფერდობზე ვხვდებით ორ მეწყრულ სხეულს, რომლებიც საპროექტო გზას მოიცავენ (იხ. ფოტო №37, №37<sup>ა</sup> და №37<sup>ბ</sup>). მეწყერს გააჩნია ტალღისებური ზედაპირი ალაგ-ალაგ მოწყვეტის ნაპრალებით, განსაკუთრებით კარგადაა გამოკვეთილი მეწყერის მოწყვეტის მთავარი ნაპრალი და მასთან მიეოლებული მოწყვეტის სიბრტყე. მეწყერი სიგანით 80-100 მეტრია, სიმაღლით 100-120 მეტრი. სავარაუდო წვდომის სიღრმე 3-4 მ. მეწყრები თავისი მოცულობით და აქტიურობის ფაზის მიხედვით ანგარიშგასაწევია და გათვალისწინებული უნდა იქნეს პროექტის ავტორების მიერ.





ფოტო №37



ფოტო №37<sup>ა</sup>





ფოტო №37ბ

სოფ. შქმერიდან საპროექტო გზის ტრასა მიუყვება მდ. ხეორის ხეობას, კერძოდ მის მარჯვენა ნაპირს და ემთხვევა აქ არსებულ გზას. ამ მონაკვეთზე (შქმერის დელიდან ზუდალის მიმართულებით, დაახლოებით 2400 მ. მანძილზე, მათ შორის დ.წ. №№248-261) გზის თარო გამოჭრილია დასავლური ექსპოზიციის საკმაოდ დაქანებული ფერდობის ძირში, მდ. ხეორის ჭალაში გარდამავალ ზოლში. გზის აღმოსავლეთი კიდე წარმოდგენილია ხელოვნური, გაშიშვლებული ფერდობისა და ბუნებრივი ფერდობების მორიგეობით. ზოგადად ფერდობი დაფარულია ელუვიურ-დელუვიური გენეზისის, უმნიშვნელო სიმძლავრის (0.3-1.2 მ), თიხა-თიხნაროვანი გრუნტებით, ღორღისა და ხვინჯის ჩანართებით 20-40%- მდე იშვიათად ღორღების შემცველობით.



ფოტო №38

მითითებული მონატეხოვანი მასალის დედა ქანები წარმოდგენილი არიან ცარცული სისტემის, სენომაწური და ალბი-აპტის სართულების სტრატეგრაფიული ერთეულების, კირქოვან-მერგელოვანი ლითოლოგიური ნაირსახეობებით. ისინი უშუალოდ მეოთხეული გრუნტების ზეწრის ქვეშაა განლაგებული და მათი სიმძლავრე აქ ასეულობით მეტრს აღემატება. მიწისზედა პირთან ახლო ისინი საკმაოდ გამოფიტული და დანაპრალიანებულია, რაც გამორჩეულად კარგად ფიქსირდება მცირე სიმძლავრის ჩამონაშალების სახით, ხელოვნური ფერდობის ფარგლებში (იხ. ფოტო №38)

აღწერილი მონაკვეთის ბოლოდან (დ.წ. 261-დან) ე.წ. “თამარ დედოფლის კლდეები”-მდე (დ.წ. 265), გზის დაახლოებით 940 მ-ის სიგრძის მონაკვეთი გადის ბარემული ასაკის კირქვების გავრცელების უბანზე. აქ არსებული გზის ფერდობის დიდ ნაწილზე, ხელოვნური (1.5-2.0 მ-ის სიმაღლის) გაშიშვლებების ფარგლებში კირქვები ძლიერ დანაპრალიანებული და გამოფიტულია სხვაგან გადაფარულია ნიადაგის ფენითა და შესაბამისად მცენარეული საფარით. აქედან გამომდინარე გზის ეს მონაკვეთი ჩვენ მიერ მიეკუთვნა ნახევრადკლდოვანი ქანების



გავრცელების უბანს, თუმცა საკუთრივ სავალ ნაწილზე, გზის თაროს ფარგლებში, ზოგან უშუალოდ კლდოვანი ქანები გამოდინან.



ფოტო №39



ფოტო №40

ძლიერ დანაპრალიანებული და გამოფიტული კირქვები ნახევრადკლდოვანი ქანების გავრცელების უბანზე

“თამარ დედოფლის კლდეები”-ს უბანზე გზა მკვეთრად უხვევს თითქმის აღმოსავლეთი მიმართულებით და შემდგომ სერპანტინის სახით ეშვება სოფ. ბოყვას სამანებისკენ. (გზის ამ ნაწილის სიგრძე დაახლოებით 2900 მ-ია. მისი დასაწყისი (პირველი 500-540მ) გადის ბარემული ასაკის კირქვების კლდოვანი კარნიზის ფარგლებში. სავალი ნაწილის სიგანე აქ 3.0 მ-ით განისაზღვრება. იგი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია თითქმის ვერტიკალური კლდოვანი ფლატით.





ფოტო №41 კლდოვანი კარნიზი ”თამარ დედოფლის კლდეები“-ს უბანზე

აქ გავრცელებული კირქვები ქანის ხარისხის მაჩვენებლისა (Q) და კლდოვანი ქანის მასივის რეიტინგის (RMR) მიხედვით განისაზღვრა როგორც კარგი კლდოვანი ქანი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღინიშნოს რომ ამ მონაკვეთზე გზის სავალი ნაწილის გაგანიერების შემთხვევაში მისაღები იქნება შესაბამისი საინჟინრო გადაწყვეტილებები. ასევე ავღნიშნავთ რომ ამ მონაკვეთს თითქმის მერიდიანული მიმართულებით კვეთს ტექტონიკური კონტაქტი ნასხლეტის სახით, ვფიქრობთ ამ კონტაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული ამ უბანზე გავრცელებული ქვათაცვენის მოვლენა (იხ. ფოტო №42 დ.წ. 266).



ფოტო №42 ქვათაცვენის მოვლენა ტექტონიკური კონტაქტის უბანზე

გზის მომდევნო მონაკვეთი (დაახლოებით 150მ) გადის სქელშრეებრივი დოლომიტიზირებული კირქვების (ქვედა ცარცი, ბარიასულ-ჰოტერივული) გაერცვლების უბანზე. ამ გრუნტების ერთდერძა კუმშვაზე გამოცდის შედეგად (75 მპა) მათი რეიტინგის მაჩვენებელი (სიმტკიცის მიხედვით) უტოლდება 7-ს. (ფოტო № 43)



ფოტო № 43




გზის შემდეგი მონაკვეთი, (დაახლოებით 550-560 მ) გადის იურული ასაკის (კიმერიჯ-ტიტონი და ხოჯალის მეორე ქვეყება) ქანების გავრცელების ზონაში. (იხ. ფოტო №44) აქ გავრცელებული ტუბობრეჭიების სიმტკიცის (60.28 მპა) მიხედვით რეიტინგის მაჩვენებელი უტოლდება 7-ს. (იხ. ლაბორატორიული გამოცდის შედეგები, დანართი №2).



ფოტო №44

